

საქართველოს კანონი

„საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, N8, 2000 წელი, მუხ. 12) მე-2 მუხლის შენიშვნის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. კორუფციული სამართალდარღვევა არის „საჯარო სამსახურის კოდექსით“ გათვალისწინებული დარღვევა, თუ იგი არ იწვევს სისხლისსამართლებრივ ან ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას.“

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2008 წლის 1 იანვრიდან.